

ხელშეკრულება

შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს კუთვნილ ავტოგასამართ სადგურებზე არსებული
სარეზერვუარო პარკის გაწმენდითი სამუშაოების და ულტრაბგერითი მეთოდით
ვარგისიანობაზე შემოწმების
შესახებ

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“

----- 2019 წ

ხელშეკრულების სარჩევი

- მუხლი 1. განმარტება
- მუხლი 2. კონტრაქტორის ძირითადი ვალდებულებები
- მუხლი 3. სამუშაო პროგრამა
- მუხლი 4. კონტრაქტორის ორგანიზაცია
- მუხლი 5. ლუკოილ ჯორჯიას უფლებები
- მუხლი 6. ცვლილებები
- მუხლი 7. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდები
- მუხლი 8. პრეტენზიები
- მუხლი 9. გადასახადები და დაზღვევა.
- მუხლი 10. სამუშაოს უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
- მუხლი 11. ტექნიკური კონტროლი და ტესტები
- მუხლი 12. კანონების დაცვა
- მუხლი 13. ხარვეზების მიზეზით შეწყვეტა
- მუხლი 14. ხარისხის გამო შეწყვეტა
- მუხლი 15. სამუშაოს დასრულება და მიღება
- მუხლი 16. გარანტიები
- მუხლი 17. საკუთრებაში არსებული მასალების გადაცემა
- მუხლი 18. მასალებისთვის ძირითადი მოთხოვნები
- მუხლი 19. კონტრაქტორის პასუხისმგებლობები
- მუხლი 20. დაზღვევა
- მუხლი 21. კონფიდენციალური ინფორმაცია
- მუხლი 22. ფორსმაჟორი
- მუხლი 23. მხარეთა შორის კომუნიკაცია
- მუხლი 24. მოქმედი კანონმდებლობა – დავის გადაწყვეტა – კომპეტენტური სასამართლოები

ხელშეკრულების დანართები:

- 1. სატენდერო დოკუმენტაცია
- 2. საბანკო გარანტია

მუხლი 1. განმარტება

ქვევით მოცემულია ამ დოკუმენტში გამოყენებული სიტყვებისა და ტერმინების განმარტება:

დამკვეთი: - **ლუკოილ-ჯორჯია** - სამუშაოების დამკვეთი ორგანიზაცია, რომელიც 2019 წლის ----- ჩატარებული ტენდერის საფუძველზე, ახორციელებს სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ - ძეგვის ნავთობბაზაში არსებულ 5 ცალ განათების კომპურაზე ახალი პროექტორებისა და პერიმეტრის (ღობის გასწვრივ) სანათებისა და სადენების მოწყობა.

კონტრაქტორი: - ----- - შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს მიერ, 2019 წლის ----- ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებაში აღწერილი სამუშაოს შესრულებას.

სამუშაო და სამუშაოები: ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვრცლად აღწერილი მთლიანი სამუშაო, რომელიც კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს თავისი საშუალებებითა და ძალებით.

სამუშაო ადგილი: ადგილი რომელიც „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ მითითებულია სატენდერო განცხადებაში და ტექნიკურ დოკუმენტაციაში, სადაც კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს სატენდერო პირობებით გათვალისწინებული სამუშაოები - **შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგურები.**

საბანკო გარანტია: ხელშეკრულებას თან ერთვის, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს მიერ გამოყენებული იქნება კონტრაქტორის მიერ სამუშაოს არასრულად ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

შესასრულებელი სამუშაოს დასრულების ვადა: 30.12.2019 წ

მუხლი 2. კონტრაქტორის ძირითადი ვალდებულებები

2.1. კონტრაქტორმა უნაკლოდ უნდა შეასრულოს მთელი ის სამუშაო, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში და მის ტექნიკური ნაწილში. სამუშაოს შესრულება უნდა მოხდეს სატენდერო პირობებით განსაზღვრულ დროში, საჭირო ყველა წყაროსა და ტექნიკის გამოყენებით. კონტრაქტორი თავის თავზე იღებს ყველა შესაძლო რისკს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა:

ა) კონტრაქტორი სამუშაოს ახორციელებს უპირველეს ყოვლისა წინამდებარე ხელშეკრულებისა, სატენდერო დოკუმენტაციისა და თანდართული ტექნიკური დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

ბ) კონტრაქტორი საქმიანობას დაიწყებს ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღში და სამუშაოს შეასრულებს სრული ვალდებულებების გათვალისწინებით, სამუშაო წესების სრული დაცვით, თანამედროვე საინჟინრო და ტექნოლოგიის შესაბამისად. კონტრაქტორი კეთილსინდისიერად შეასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს.

გ) კონტრაქტორმა განაცხადა, რომ მივიდა და შეამოწმა სამუშაო ადგილი განსაზღვრა საქმიანობის ხასიათი და მიზანი. ასევე აღნიშნა, რომ იცნობს სამუშაო ობიექტის რეგიონს და იცის იქაური პირობები, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სამუშაოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტრაქტორი თანხმად სამუშაოები განახორციელოს მითითებულ სამუშაო ადგილზე. წინასწარ გაუთვალისწინებელ გეოლოგიურ, მიწისქვეშა წყლის და მსგავსი მიზეზებით გამოწვეულ სირთულეებს, ასევე ყველა რისკს თავის თავზე იღებს. თავიდანვე აცხადებს თანხმობას, რომ მსგავს შემთხვევებს არ გაასაჩივრებს და არ მოითხოვს დამატებით ანაზღაურებას. კონტრაქტორს არ აქვს უფლება ნებართვის გარეშე შეცვალოს სამუშაო ადგილის გეოგრაფიული და გეოლოგიური მდებარეობა.

დ) კონტრაქტორი საქმიანობის შესასრულებლისას პასუხისმგებელია მასალებისა და ტექნიკის კონტროლსა და უსაფრთხოებაზე. კონტრაქტორი პასუხისმგებელია მის სამუშაო ობიექტზე მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მასალის უსაფრთხოებაზე. მას შემდეგ რაც კონტრაქტორი დაასრულებს და ჩააბარებს სამუშაოებს (ამასთან დაკავშირებული პირობები მოცემულია მე-15 მუხლში), ვიდრე შესრულებულ სამუშაოს არ გადასცემს დამკვეთს - ლუკოილ-ჯორჯიას, მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა სამუშაო ობიექტის მიმართ ისევ ძალაში რჩება.

ე) კონტრაქტორს უფლება არ აქვს პრესას და საზოგადოებას მისცეს სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუ ლუკოილ-ჯორჯიას-გან არ ექნება წერილობითი თანხმობა. კონტრაქტორი ვალდებულია იგივე მოთხოვნა წაუყენოს თავის ქვეკონტრაქტორებს.

ვ) კონტრაქტორი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალებისა და იარაღების იმპორტს, ობიექტზე მიტანასა და საბაჟო პროცედურებს თავად ანხორციელებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ზ) კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. სამუშაოს მიმდინარეობის პერიოდში შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორს.

თ) შესასრულებელი სამუშაო მოცემულია ლუკოილ-ჯორჯიას მიერ მომზადებულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში. ეს დოკუმენტაცია შესასრულებელი სამუშაოს ტიპზე, რაოდენობასა და ადგილზე ზოგად განმარტებას იძლევა და არა დეტალურს. კონტრაქტორი ვალდებულებას იღებს სამუშაოს ხარისხიანად შესრულების მიზნით დეტალურად შეისწავლოს საქმე და ასევე გაეცნოს ლუკოილ-ჯორჯიას ტექნიკურ დოკუმენტაციას. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი ტექნიკურ დოკუმენტაციაში აღმოაჩენს სამუშაოსთან დაკავშირებულ საფრთხეს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლუკოილ-ჯორჯიას. ლუკოილ-ჯორჯიაზე გადაცემული ინფორმაციის მიხედვით მიღებულ იქნება შესაბამისი ზომები.

სამუშაოს შესასრულებლად, სამუშაო ადგილის შესაბამისად მოწყობის ხარჯები ეკუთვნის კონტრაქტორს. სამუშაოს დროულად დამთავრებისა და ჩაბარების მიზნით კონტრაქტორი სამუშაო ადგილს მოაწყობს საჭირო ყველა იარაღით, მანქანით, ტექნიკით, და მსგავსი ტექნიკური აღჭურვილობით. კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაო ადგილზე არსებული მასალისა თუ ტექნიკის შესახებ საჭიროების შემთხვევაში აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

2.2. იმ შემთხვევაში თუ, კონტრაქტორი ლუკოილ–ჯორჯიას თანხმობის გარეშე რაიმე საქმიანობას განახორციელებს, გამოწვეული ხარჯები კონტრაქტორს დაეკისრება.

მუხლი 3. სამუშაო პროგრამა

3.1. კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაო ან სამუშაოს ნაწილი დაასრულოს სამუშაო პროგრამის მიხედვით. კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სამუშაო ადგილის მოწყობა ხელშეკრულებაში მოცემული მთლიანი სამუშაოების ნაწილია. როდესაც კონტრაქტორი მოამზადებს შესრულების გეგმასა და სამუშაო პროგრამას, უნდა გაითვალისწინოს სამუშაო ადგილის მოწყობის, ასევე ძირითადი სამუშაოს შესრულებისა და სამუშაო ობიექტზე სხვა სამუშაოების დროული შესრულება. სამუშაოს შესრულებისას ზოგიერთი ვადები შეიძლება შეიცვალოს ლუკოილ–ჯორჯიას მიერ. კონტრაქტორს უფლება არ აქვს მოითხოვოს დამატებითი ანაზღაურება.

3.2. კონტრაქტორი ვალდებულია შესრულების გეგმის გათვალისწინებით მოამზადოს სამუშაო პროგრამა და წარუდგინოს ლუკოილ–ჯორჯიას თანხმობის მისაღებად.

3.3. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი სამუშაოს ვერ შეასრულებს ხელშეკრულებაში მოცემული პირობების თანახმად, ლუკოილ–ჯორჯია თავისი საშუალებებით ან სხვა კომპანიის დახმარებით დაასრულებს სამუშაოს და გაწეულ ხარჯს მთლიანად დააკისრებს კონტრაქტორს.

მუხლი 4. კონტრაქტორის ორგანიზაცია

4.1. კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენოს გამოცდილი პერსონალი. კონტრაქტორმა ეს გამოცდილი პერსონალი უნდა შეინარჩუნოს სამუშაოს დასრულებამდე.

4.2. კონტრაქტორი ასრულებს მის პასუხისმგებლობაში არსებულ სამუშაოს. კონტრაქტორი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სამუშაო ობიექტისა და სამუშაოების უსაფრთხოებას, სამუშაო ობიექტზე სამუშაოების ორგანიზებისთვის ნიშნავს კვალიფიციურ პირს რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიმდინარე სამუშაოებზე.

4.3. მიმდინარე სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული მასალების შეკეთებისა და მოვლის ხარჯებს უზრუნველყოფს კონტრაქტორი.

კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაო ობიექტი სამუშაოს განმავლობაში ყოველდღიურად დაასუფთაოს და არ დააკავოს ლუკოილ–ჯორჯიას მფლობელობაში არსებული ტერიტორია, გზები, ობიექტზე არსებული ჯართით, ნარჩენებით და მასალებით.

ზემოთ ხსენებული ნივთები ლუკოილ–ჯორჯიას ტერიტორიაზე დარჩება და მათი ტერიტორიის გარეთ გატანა არ შეიძლება. სამუშაოების შესასრულებლად საჭიროების შემთხვევაში მათი გადაადგილება განხორციელდება უსაფრთხოდ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. კონტრაქტორის მიერ გამოყენებული ყველა სახის იარაღის, მანქანისა და ტექნიკის კონტროლი ევალება კონტრაქტორს და მათი გამოყენებისას წარმოქმნილ რისკებში მთლიანად კონტრაქტორია პასუხისმგებელი.

ზემოთხსენებული იარაღებისა და ტექნიკის გამოყენება უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონტრაქტორი ასევე გაანთავისუფლებს ტერიტორიას თავისი კუთვნილი მასალებისა და ტექნიკისაგან, და ბოლოს დარჩენილ უკვე გამოუსადეგარ ნაგავს და ნარჩენებს ლუკოილ–ჯორჯიას კუთვნილი ტერიტორიიდან გაიტანს. კონტრაქტორი ამ საქმიანობას მე–10 მუხლში მითითებული უსაფრთხოების წესების დაცვით შეასრულებს.

იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, პასუხისმგებლობის შეუსრულებლობიდან წარმოქმნილი დავალიანება ლუკოილ–ჯორჯიამ შესაძლოა წარმოუდგინოს ინვოისის სახით, ან გამოუქვითოს დარჩენილი, ჯერ კიდევ მისაღები თანხიდან.

4.4. სამუშაო ადგილზე არსებულ სხვა კონტრაქტორებთან ურთიერთობისას უნდა იმოქმედოს ლუკოილ–ჯორჯიას მიერ გაცემული ინსტრუქციებით. კონტრაქტორი ტერიტორიაზე არსებულ სხვა კონტრაქტორებთან უთანხმოებას ვერ გამოიყენებს სამუშაოს შესრულების დაგვიანების ან სამუშაოში დაშვებული ხარვეზის მიზეზად და ვერ მოითხოვს დამატებით ანაზღაურებას. კონტრაქტორებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება, უნდა მოგვარდეს ლუკოილ–ჯორჯიას მიერ და ლუკოილ–ჯორჯიას გადაწყვეტილება მისაღები უნდა იყოს მხარეების მიერ სამუშაოს დასრულებამდე.

მუხლი 5. ლუკოილ–ჯორჯიას უფლებები

ა) სამუშაოს დასრულებამდე მომუშავე კონტრაქტორებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და შესასრულებელი სამუშაოების რიგის მიხედვით დალაგება.

ბ) ობიექტზე არსებულ ოფისებში შესვლის, ასევე კონტრაქტორების მიერ სამუშაოებისთვის გამოყენებულ სათავსოებსა და საწყობებში შესვლისა და კონტროლის უფლება.

გ) შეუძლია კონტრაქტორებისგან მოითხოვოს სამუშაოსთვის შეუფერებელი პერსონალის განთავისუფლება.

დ) კონტრაქტორის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს აქვს უფლება კონტრაქტორს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცულებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს უფლებას და არა ვალდებულებას.

მუხლი 6. ცვლილებები

6.1. სამუშაოების შესრულების პერიოდში ლუკოილ–ჯორჯიას უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი ცვლილებები:

ა) ტექნიკურ დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა.

6.2. იმ შემთხვევაში თუ, საჭირო გახდება შესრულებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის შესწორება, ან თუ არასრულყოფილად არის სამუშაო შესრულებული, ან საჭიროა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანი ცვლილებების შეტანა, კონტრაქტორი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნულთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაოების წარმოება.

კონტრაქტორის უყურადღებობის გამო, მაშინ როცა ლუკოილ–ჯორჯიას ტექნიკური დოკუმენტაციაში დეტალურად განმარტებული აქვს აღნიშნული სამუშაო, გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად კონტრაქტორს უფლება არ აქვს წარმოადგინოს დამატებითი ხარჯები, ან მოითხოვოს ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

6.3. ხელშეკრულების ღირებულება და პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების თარიღი შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საშუალებით, მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე. ყოველი ცვლილებისთვის საჭირო და უკვე შეთანხმებული ვადა არ შეიძლება ხელმეორედ დადგეს დღის წესრიგში და ამ დამატებულმა ვადამ, რომელიც დადასტურებული იქნება ლუკოილ–ჯორჯიას მიერ, არ უნდა იმოქმედოს მანამდე შეთანხმებულ სამუშაოს დასრულების ვადაზე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდები

7.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს -----.

7.2. სამუშაოების შესრულების ღირებულების გადახდა განხორცილდება ლარში, წარმოდგენილი ანგარიშვაქტურის მიხედვით.

7.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდას ლუკოილ–ჯორჯია განახორციელებს ეტაპობრივად.

7.4. კონტრაქტორი ყველა რისკის გათვალისწინებით კისრულობს პასუხისმგებლობას რომ ხელშეკრულების ღირებულების ფასად სრულად და ჯეროვნად შეასრულებს აღნიშნულ სამუშაოს.

მუხლი 8. პრეტენზიები

8.1. თუ კონტრაქტორის მიზეზით ლუკოილ–ჯორჯია მესამე პირის მიმართ აღმოჩნდა დავაში, მოხდება მისი ქონების დაყადაღება ან ნებისმიერი სხვა მსგავსი შემთხვევა, ლუკოილ–ჯორჯიას უფლება აქვს მიღებული ზიანის ასანაზღაურებლად შესაბამისი თანხა გამოქვითოს კონტრაქტორზე გადასახდელი თანხიდან.

8.2. თუ მსგავსი დავა მოხდება ხელშეკრულების დასრულებისას ან სამუშაოს ჩაბარების შემდეგ, კონტრაქტორი აქედანვე იღებს ვალდებულებას, რომ წერილის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში აანაზღაუროს ლუკოილ–ჯორჯიას ზარალი.

მუხლი 9. გადასახადები და დაზღვევა.

სამუშაოების მიმდინარეობის დროს კონტრაქტორის მხრიდან განზრახ, გაუფრთხილებლობით და/ან დაუდევარი ქმედებით წარმოქმნილი რაიმე ინციდენტის აღმოფხვრას (ლუკოილ ჯორჯიასთან, ქვეკონტრაქტორებთან, მესამე პირებთან) კონტრაქტორი აგვარებს დამოუკიდებლად და კისრულობს სრულ მატერიალურ და ფინანსურ პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის გადასახადებთან დაკავშირებით (გადასახადები, დაზღვევა).

მუხლი 10. სამუშაოს უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

10.1. კონტრაქტორის მიერ სამუშაოს შესრულებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო ადგილისა და პერსონალის უსაფრთხოება. კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას მომუშავე პერსონალი შესაძლო ყველა უბედური შემთხვევისგან, ასევე რაც ზიანს მიაყენებს მათ ჯანმრთელობას.

10.2 კონტრაქტორმა სამუშაო ადგილზე მომუშავე სხვა კონტრაქტორებთან და ლუკოილ–ჯორჯიასთან მუდმივი კორდინაციით, სამუშაოს შესრულებისას ხელი არ უნდა შეუშალოს ტერიტორიაზე მომუშავე სხვა კონტრაქტორებს და მაქსიმალურად შეამციროს მომუშავე პერსონალში პოტენციური საფრთხე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას. კონტრაქტორი იძლევა გარანტიას სამუშაოს სანდოობისა და უსაფრთხოების საკითხში ქვეკონტრაქტორის პასუხისმგებლობაზე.

10.3. კონტრაქტორი სამუშაოების დაწყებამდე ლუკოილ–ჯორჯიას აცნობებს თუ რა ზომებია მისაღები უსაფრთხოების დასაცავად. კონტრაქტორის მიერ მისაღები ზომები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

10.4. კონტრაქტორი ვალდებულია თავის ან თავისი ქვეკონტრაქტორის პერსონალს, რომელსაც უწევს მუშაობა რისკის შემცველ ტექნიკასთან, უსაფრთხოების მიზნით მისცეს შესაბამისი განათლება.

10.5. კონტრაქტორი სამუშაო ადგილიდან ათავისუფლებს თავის ან თავისი ქვეკონტრაქტორის იმ თანამშრომელს, რომელიც არ ემორჩილება უსაფრთხოების წესებსა და მეთოდებს.

10.6. კონტრაქტორი სამუშაო ადგილზე გააკონტროლებს უსაფრთხოდ მუშაობას და დანიშნავს ერთ თანამშრომელს უსაფრთხოების ინჟინრად.

10.7. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორს დროულად ექნება ინფორმაცია მოსალოდნელი რისკის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლუკოილ–ჯორჯიას.

10.8. თუ მოსალოდნელი რისკების იწვევს ხელშეკრულების შესრულება ან ლუკოილ–ჯორჯიას მიერ წაყენებული ინსტრუქციები, კონტრაქტორმა გაფრთხილების წერილის მეშვეობით ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლუკოილ–ჯორჯიას.

10.9. თუ მდგომარეობა ცილდება კონტრაქტორის კონტროლის ფარგლებს, წერილობითი სახით მაინც უნდა ეცნობოს ლუკოილ–ჯორჯიას.

10.10. სამუშაოს დასრულების შემდეგ, კონტრაქტორი სრულიად უსაფრთხოდ ასუფთავებს და საიმედოდ ტოვებს ობიექტს.

10.11. კონტრაქტორის მიერ სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული იარაღები და ტექნიკა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, სამუშაოს შესაბამისი და გათვალისწინებული იყოს უსაფრთხოების საკითხი. ეს იარაღები თუ ტექნიკა შესაძლებელია იყოს კონტრაქტორის მიერ შესყიდული, არენდით აღებული, ანდა სხვა გზით უზრუნველყოფილი.

10.12. ლუკოილ-ჯორჯიას უფლება აქვს გააკონტროლოს კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის საქმიანობის უსაფრთხოება და საიმედოობა. მაგრამ ეს უფლება კონტრაქტორს არ ათავისუფლებს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისგან. კონტრაქტორმა ლუკოილ-ჯორჯია მაქსიმალურად უნდა დაიცვას, რომ არ მოხდეს უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, სამუშაოს შესრულებისას რაიმე სახის უბედური შემთხვევა, მესამე პირიე მიერ ფინანსური ან სამართლებრივი ზარალის მიყენება.

10.13. იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდა, ლუკოილ-ჯორჯია სამუშაოების დაწყებამდე, კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორისგან მოითხოვს დეტალურ უსაფრთხოების გეგმას.

კონტრაქტორმა წინასწარ სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეისწავლოს თუ რა ზარალი შეიძლება მიაყენოს გარემოს მისმა აქტივობამ. კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას გარემოს უსაფრთხოებისთვის მიღებული ყველა კანონი, მიღებული ადგილობრივი ორგანოების მიერ.

10.14. თუ კონტრაქტორს საქმიანობის პროცესში გარემოზე მიყენებული ზარალის გამო მესამე პირთან წარმოეშობა უთანხმოება, ლუკოილ-ჯორჯიას საქმეში ჩაურევლად დაზარალებულ პირს დამოუკიდებლად აუნაზღაურებს მიყენებულ ზარალს.

10.15. კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის და უსაფრთხოების წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოფს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურებას.

მუხლი 11. ტექნიკური კონტროლი და ტესტები

11.1. ლუკოილ-ჯორჯიას უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაო ადგილზე მომუშავე ყველა პერსონალი, ჩაატაროს ტექნიკური კონტროლი და ტესტები მასალებსა და ხელსაწყოებზე. ლუკოილ-ჯორჯიას ეს ქმედება კონტრაქტორს არ ათავისუფლებს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისგან.

11.2. კონტრაქტორი ტექნიკურ კონტროლსა და ტესტებს ჩაატარებს ისე, რომ არ მოხდება სამუშაოს დასრულების ან ნაწილი სამუშაოს დასრულების შეფერხება.

11.3. კონტრაქტორი მასზე დაკისრებული ტექნიკური კონტროლისა და ტესტების ჩატარების თარიღს დროულად აცნობებს ლუკოილ-ჯორჯიას, რათა უზრუნველყოს მისი მზადყოფნა ტექნიკური კონტროლისა და ტესტებისთვის.

11.4. თუ ლუკოილ-ჯორჯია აღმოაჩენს, რომ ტექნიკურ დათვალიერებამდე მოხდა შეკეთება შესამოწმებელი მასალების, ტექნიკის ან შესრულებული სამუშაოსი, ან დამონტაჟებულია შემოწმების გარეშე, ანდა შემოწმების გარეშე ჩატარებულია გათხრა და შემოწმების გარეშე კვლავ დაფარულია თხრილი ლუკოილ-ჯორჯიას შეუძლია თავიდან მოითხოვოს დასრულებული სამუშაოების შესრულება, ან დამონტაჟებული ტექნიკის მოხსნა, ანდა უკვე დაფარული თხრილის გახსნა. მოხსნილი ტექნიკა დამონტაჟდება თავიდან და გახსნილი

თხრილები თავიდან ამოივსება. კონტრაქტორი ამ საქმიანობისთვის ვერ მოითხოვს დამატებით ანაზღაურებას.

11.5. ლუკოილ–ჯორჯია სტრუქტურებისა და ტექნიკის ტექნიკურ დათვალიერებას ახორციელებს მასალის სამუშაო ადგილზე მოსვლისას ან სამუშაოს შესრულების მომენტში. თუ ლუკოილ–ჯორჯია ჩათვლის, რომ მიღებული მასალები და ტექნიკა უსაფრთხო არ არის, ან სამუშაოს შესაბამისი არ არის, შეუძლია კონტრაქტორს მოსთხოვოს მათი უკან წაღება და გამოცვლა. ისე რომ გაწეული ხარჯი მთლიანად კონტრაქტორს დაეკისრება.

11.6. დაზიანებულ ხელსაწყოებსა და მასალებზე ხელმეორდ ტარდება ტექნიკური კონტროლი და ტესტები. დაზიანების აღმოფხვრის ხარჯები მთლიანად კონტრაქტორს ეკისრება.

მუხლი 12. კანონების დაცვა

12.1. კონტრაქტორმა სამუშაოს შესრულებისას უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონების შესაბამისად. არსებული კანონების დარღვევის შედეგად წარმოქმნილ ხარჯებზე მთლიანად კონტრაქტორია პასუხისმგებელი.

12.2. კონტრაქტორი ყურადღებით სწავლობს ყველა ტექნიკურ დოკუმენტაციას და თუ რაიმეს აღმოაჩენს მოქმედი კანონის საწინააღმდეგოს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ლუკოილ–ჯორჯიას. ქვემოთ მოცემულია თუ რა შემთხვევაში არ უნდა გააგრძელოს კონტრაქტორმა სამუშაოების შესრულება, თუ ლუკოილ–ჯორჯია არ გამოასწორებს მოქმედ კანონთან წინააღმდეგობაში მყოფ შემდეგ საკითხებს,

ა) ტექნიკურ დოკუმენტაციას მოიყვანს მოქმედი კანონის შესაბამისობაში.

ბ) შესაბამისი ორგანოებიდან აიღეს სავალდებულო ნებართვებს.

თუ კონტრაქტორი არ დაელოდება ზემოთ მოცემული საკითხების მოწესრიგებას, მაინც დაიწყებს სამუშაოებს და ამით დააზარალებს ლუკოილ–ჯორჯიას, მიყენებულ ზარალზე პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორი.

12.3. კონტრაქტორის პასუხისმგებლობაში მყოფი სამუშაოებისთვის საჭირო ლიცენზიებსა და ნებართვებზე თავად არის პასუხისმგებელი.

12.4. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, თავისი და თავისი ქვეკონტრაქტორების ქმედებიდან გამომდინარე ლუკოილ–ჯორჯიას წინააღმდეგ არ წარმოიშვას სამართლებრივი პრეტენზიები, არ გახდეს საჭირო გამოძიება და არ აღიძრას მის წინააღმდეგ სარჩელი. მსგავს შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებული იქნება ლუკოილ–ჯორჯიას აუნაზღაუროს ზარალი.

მუხლი 13. ხარვეზების მიზეზით შეწყვეტა

ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში, რომელიც გამოწვეული იქნება კონტრაქტორის მიერ დაშვებული ხარვეზით, ლუკოილ–ჯორჯიას უფლება აქვს ავტომატურად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ა) თუ კონტრაქტორი დაჟინებით გამოიყენებს ლუკოილ–ჯორჯიას მიერ დაწუნებულ მასალებს და ამ მასალებით გააგრძელებს სამუშაოების შესრულებას.

- ბ) თუ კონტრაქტორი სულ ცოტა ორჯერ არ გაითვალისწინებს ლუკოილ-ჯორჯიას მიერ ხელშეკრულების ამა თუ იმ დებულებასთან დაკავშირებულ წერილობით გაფრთხილებას.
- გ) თუ კონტრაქტორის მხრიდან ადგილი აქვს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის და გარემოს დაცვის ნორმების დარღვევისას.
- დ) თუ კონტრაქტორი გაკოტრდა, კომპანია ლიკვიდირებულია, თუ მისი ქონება დაყადაღებულია ან მის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი.

მსგავს შემთხვევაში ლუკოილ-ჯორჯია კონტრაქტორს ატყობინებს, რომ მასზე გადასახდელი კუთვნილი თანხების გადახდა შეჩერებულია.

ხელშეკრულების შეუსრულებლობით და სამუშაოს დაგვიანებით, ან ნებისმიერი სხვა ფორმით ლუკოილ-ჯორჯიაზე მიყენებული ზარალის ოდენობის ჩამოწერა მოხდება ხელშეკრულების ღირებულებიდან.

თუ ლუკოილ-ჯორჯიაზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საკმარისი არ აღმოჩნდება სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი თანხა კონტრაქტორი ვალდებულია თავისი ფინანსებით მოახდინოს ანგარიშსწორება 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 14. ხარისხის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, ლუკოილ-ჯორჯიას უფლება აქვს 5 დღით ადრე წერილობითი სახით კონტრაქტორს შეატყობინოს ხელშეკრულების გარკვეული ნაწილის, ან მთლიანი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამუშაოს შეწყვეტის თარიღი. ასევე როდის უნდა დატოვოს კონტრაქტორმა სამუშაო ადგილი. კონტრაქტორი მითითებულ თარიღში ტოვებს შეწყვეტილ სამუშაოებსა და სამუშაო ადგილს.

14.2. კონტრაქტორს უფლება არ აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტისას წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურება. ეს არ ეხება იმ ზარალს, რომელიც გამოწვეული იქნება დროებითი შეჩერებიდან. იმისთვის რომ მოხდეს დროებითი შეჩერებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება, სამუშაოების შესრულება უნდა მოხდეს ლუკოილ-ჯორჯიას ნებართვით.

თუ სამუშაოების მხოლოდ ერთი ნაწილი შეწყდა, კონტრაქტორი შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას სრულად გადასცემს ლუკოილ-ჯორჯიას.

ლუკოილ-ჯორჯია კონტრაქტორის წინაშე პასუხისმგებელი არ იქნება შეწყვეტილი სამუშაოების გამო შემოსავლის დაკარგვასა და წარმოქმნილ სხვა ზარალზე.

მუხლი 15. სამუშაოს დასრულება და მიღება

15.1. კონტრაქტორი ხელშეკრულების დებულებებისა და დანართების, რომლებშიც მითითებულია სამუშაოს დასრულების კრიტერიუმები, ასევე სამუშაო გეგმის გათვალისწინებით მასზე დაკისრებულ სამუშაოს, ან სამუშაოს ნაწილის დასრულების შესახებ წერილობითი სახით დაუყოვნებლივ აცნობებს ლუკოილ-ჯორჯიას.

წერილის მიღების შემდეგ ლუკოილ-ჯორჯია 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ კი მისთვის მისაღებია შესრულებული სამუშაო, ხელშეკრულების

საფუძველზე დაკისრებული მთლიანი სამუშაოს ან სამუშაოს ნაწილის დასრულების შესახებ აფორმებს სათანადო სამუშაოს დამთავრების ანგარიშს. ანგარიშში უნდა მიეთითოს სამუშაოს დასრულების თარიღი. თუ ლუკოილ-ჯორჯია დასრულებულ სამუშაოებში აღმოაჩენს ხარვეზს, ან ნაკლს წერილობითი სახით აცნობებს კონტრაქტორს და კონტრაქტორი ასწორებს შესაბამის ხარვეზებს. ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ, ლუკოილ-ჯორჯია აფორმებს სათანადო სამუშაოს დამთავრების ანგარიშს.

თუ არსებული ხარვეზი ან სხვაობა ეცნობება კონტრაქტორს, კონტრაქტორი ვალდებულია საჭირო შესწორებებისა და ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ, ზემოთ მოცემულის მსგავსად მიაწოდოს ინფორმაცია.

თუ კონტრაქტორი სამუშაოს დამთავრების ანგარიშს გააფორმებს სამუშაოების მხოლოდ ერთ ნაწილზე, აქვე უნდა მიუთითოს თარიღი როდის მოხდება სრული სამუშაოების ჩაბარება.

15.2. ლუკოილ-ჯორჯიას სრულ ან ნაწილობრივ სამუშაოზე შეუძლია გააფორმოს სამუშაოს დამთავრების ანგარიში მაშინაც კი, როცა კონტრაქტორს ჯერ კიდევ სრულად არ დაუსრულებია სამუშაოები.

15.3. ლუკოილ-ჯორჯიას მიერ სამუშაოს დამთავრების ანგარიშის გაფორმება 15.7 მულის გათვალისწინებით არ გულისხმობს, რომ ლუკოილ-ჯორჯიამ საბოლოოდ ჩაიბარა სამუშაო.

15.4. ლუკოილ-ჯორჯიას სამუშაოს დამთავრების ანგარიშში მითითებული სამუშაოები შეჰყავს ექსპლუატაციაში. პარალელურად კონტრაქტორმა უნდა გააგრძელოს მუშაობა დასასრულებელ სამუშაოებზე და დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად. გარდა ამისა ექსპლუატაციაში შესული ობიექტის უსაფრთხოება უნდა დაიცვას უმაღლეს დონეზე.

15.7. სამუშაოს დასრულების შემდეგ ლუკოილ-ჯორჯია აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს.

ბ) კონტრაქტორმა სამუშაოები უნდა დაასრულოს ისე, რომ განხორციელდეს წინასწარი ექსპლუატაცია, ისე რომ ექსპლუატაციაში შესასვლელად იყოს დამაკმაყოფილებელი.

გ) ხელშეკრულებაში შემავალი ნახაზები და დოკუმენტაცია გადაეცემა ლუკოილ-ჯორჯიას.

დ) ჯართის მასალები და ნარჩენი მასალები დაუბრუნდება ლუკოილ-ჯორჯიას.

15.8. სამუშაოს სრულად ან/და მისი ნაწილის დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე, კონტრაქტორმა საჭიროების შემთხვევაში და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, შესრულებულ სამუშაოზე უნდა წარმოადგინოს დასკვნა შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციიდან, შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის თაობაზე.

მუხლი 16. გარანტიები

16.1. კონტრაქტორი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოებს შეასრულებს სატენდერო წინადადების ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, მაღალი პროფესიონალიზმით.

16.2. საგარანტიო პერიოდი (მომსახურებასა და მაკომპლექტებელ კომპონენტებზე) შეადგენს 1 წელს. ლუკოილ-ჯორჯიას მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია თავისი ხარჯებით დროულად გამოასწოროს ყველა ხარვეზი თუ ცდომილება. კონტრაქტორი ვალდებულია არასწორად გაკეთებული თუ თავისთავად დაზიანებული ხელსაწყო თუ მასალა გამოცვალოს ვიდრე საბოლოოდ არ დაზიანდება.

16.3. თუ კონტრაქტორი არ გაითვალისწინებს ლუკოილ–ჯორჯიას მოთხოვნებს, მაშინ ლუკოილ–ჯორჯია თავად გამოასწორებს კონტრაქტორის ხარვეზებს და ცდომილებებს. ამ ვითარებაში წარმოქმნილი ხარვეზები გამოიქვითება ხელშეკრულების ძირითადი ღირებულებიდან. თუ ხელშეკრულების ღირებულება უკვე გადახდილია კონტრაქტორზე, მაშინ ამ ხარვეზს 5 დღის განმავლობაში წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე კონტრაქტორი აუნაზღაურებს ლუკოილ–ჯორჯიას.

მუხლი 17. საკუთრებაში არსებული მასალების გადაცემა

17.1. კონტრაქტორის მიერ შეძენილი აპარატები და მასალები, თუ მათ ღირებულებას გადაიხდის ლუკოილ–ჯორჯია, ან როცა ისინი მივა სამუშაო ადგილზე, გადადის ლუკოილ–ჯორჯიას საკუთრებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

17.2. ლუკოილ–ჯორჯიას მიერ მიწოდებული მასალები განთავსებულია ლუკოილ–ჯორჯიას საწყობში და სატვირთოთი მათი გადატანის დროს პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. კონტრაქტორი სამუშაოს საბოლოო ჩაბარებამდე ვალდებულია ლუკოილ–ჯორჯიასგან მიღებული მასალებისა და აპარატების საწყობიდან სხვა საწყობში გადატანისას, დატვირთვისას, ჩამოტვირთვისას, დასაწყობებისას და სამუშაო ობიექტზე გადაადგილებისას უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

მუხლი 18. მასალებისთვის ძირითადი მოთხოვნები

კონტრაქტორის მიერ გამოყენებული მასალები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სერთიფიკატით (ГОСТ -ით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 19. კონტრაქტორის პასუხისმგებლობები

19.1. კონტრაქტორი პასუხისმგებელია ლუკოილ–ჯორჯიას მიერ მიწოდებულ, ან თავისი საშუალებებით შეძენილ მასალებსა და აპარატურაზე.

19.2. კონტრაქტორი ლუკოილ–ჯორჯიას ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ქვეკონტრაქტორის, ანდა სხვა ქვეკონტრაქტორების მიერ მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით. მსგავსი ზარალების დროს ლუკოილ–ჯორჯია პასუხისმგებელი არ არის.

სამუშაოს შესრულების დროს კონტრაქტორის, ან მისი ქვეკონტრაქტორების მიზეზით ობიექტზე არსებული ლუკოილ–ჯორჯიას ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში კონტრაქტორი ლუკოილ–ჯორჯიას აუნაზღაურებს შესაბამის ზარალს.

19.3. კონტრაქტორის კონტროლის ქვეშ არსებული ფულის, ან მიზარებული ნივთების დაკარგვისას ზარალს ანაზღაურებს კონტრაქტორი.

19.4. კონტრაქტორი, ლუკოილ–ჯორჯიას, მის პარტნიორ ფირმებსა და შვილობილ კომპანიებს დაიცავს მესამე პირის მიერ წარმოშობილი საჩივრებისა და დავებისაგან, თუ მესამე პირისგან წამოსული საჩივარი გამოწვეული იქნება სამუშაო ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევით ან ქონებაზე მიყენებული ზარალით.

მუხლი 20. დაზღვევა

ხელშეკრულების თანახმად კონტრაქტორი ვალდებულია იქონიოს სავალდებულო დაზღვევა.

მუხლი 21. კონფიდენციალური ინფორმაცია

21.1. თუ სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელია, ლუკოილ–ჯორჯიას მიერ კონტრაქტორსა და შვილობილ კომპანიებზე გადაცემული ტექნიკური და კომერციული ინფორმაცია, სამუშაოების პერიოდში კონტრაქტორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური იქნება მესამე პირების მიმართ.

კონტრაქტორი ასევე მოითხოვს თავისი ქვეკონტრაქტორებისა და მომწოდებლებისგან, ფარულად იმოქმედონ და შეინახონ ყოველგვარი ინფორმაცია.

21.2. ეს მუხლი არ ეხება იმ ინფორმაციას, რომელიც ისედაც ცნობილია, ან მესამე პირს ნორმალური გზით აქვს მოპოვებული შესაბამისი ინფორმაცია.

21.3. ლუკოილ–ჯორჯიას მიერ გაცემული ნახაზები, პირობები, შესყიდვის მოთხოვნები, დაკვეთები (ფასების გარეშე) და მსგავსი სხვა დოკუმენტაცია, კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის მიერ გაკეთებული ნახაზები, ხელშეკრულების შესწორებისას დამუშავებული დოკუმენტაცია სრულად შედის ლუკოილ–ჯორჯიას მფლობელობაში. მსგავსი დოკუმენტაცია, პროექტები და ტექნიკური ინფორმაცია მხოლოდ ლუკოილ–ჯორჯიას მიერ შეიძლება გავრცელდეს, გადაეცეს მესამე პირს, ლუკოილ–ჯორჯიას მიერ დანიშნულ პირებს, ან სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდეს მხარეების მიერ გამოყენება. ზემოთ აღნიშნული საბუთებს კონტრაქტორი ან ქვეკონტრაქტორი სხვა პროექტებში ვერ გამოიყენებს. ყველა პროექტი, მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დოკუმენტაციის ასლები გაეგზავნება ლუკოილ–ჯორჯიას.

21.4. თუ კონტრაქტორის მიერ დამუშავებული დოკუმენტაცია შეიცავს კონტრაქტორის პირად პროექტსა და ტექნიკურ ინფორმაციას და აუცილებელია მისი მესამე პირზე გადაცემა, ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორმა მსგავსი ინფორმაცია ერთიანი სიის სახით უნდა წარუდგინოს ლუკოილ–ჯორჯიას.

მუხლი 22. ფორს მაჟორი

22.1. თუ ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე ლუკოილ–ჯორჯიამ ან კონტრაქტორმა ვერ შეასრულა, ან დააგვიანა მასზედ დაკისრებული სამუშაოს შესრულება, მეორე მხარეს უფლება არ აქვს გაასაჩივროს, ან მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

22.2. ფორსმაჟორი არის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც თავად ვეღარ აკონტროლებს ესა თუ ის მხარე და მიუხედავად დიდი მონდომებისა არ შეუძლია მისი თავიდან აცილება (ბუნებრივი მოვლენები, საჯარო დაწესებულებებში წარმოქმნილი წინააღმდეგობები, დროებითი ცვლილებები კანონში, ომი, სახალხო აჯანყება, საბოტაჟი, მშვიდობის დარღვევა სხვა გზით, წყალდიდობა, სამუშაოების ადგილზე მოულოდნელი და უჩვეულო ამინდი, ხანძარი, აფეთქებები ან სხვა დიდი კატასტროფები. ასევე სხვა მსგავსი შემთხვევები).

22.3. თუ სამუშაოს შესრულება გვიანდება ფორსმაჟორული ვითარების გამო, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლუკოილ-ჯორჯიას. მის მიერ წარდგენილი მიზეზები თუ მისაღები იქნა ლუკოილ-ჯორჯიასთვის, მაშინ ლუკოილ-ჯორჯია ხელშეკრულებაში ცვლილებებს შეიტანს.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება არ იმოქმედებს ხელშეკრულების ღირებულებაზე. მხოლოდ ფორსმაჟორული სახით კანონის ცვლილება შეიძლება გახდეს მიზეზი ხელშეკრულების ტექნიკური პირობების შეცვლის, ან სამუშაოს შესასრულებლად საჭირო გახდეს კონტრაქტორის სამუშაო მეთოდების შეცვლა.

22.4. კონტრაქტორი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ფორსმაჟორულმა მდგომარეობამ არ იმოქმედოს სამუშაოების დასრულების თარიღზე.

22.5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორსმაჟორული გარემოებების დასრულების შემდეგ, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისიწნებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 23. მხარეთა შორის კომუნიკაცია

ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად მხარეებს შორის კომუნიკაცია შედგება წერილობითი სახით და გაიგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.

მუხლი 24. მოქმედი კანონმდებლობა – დავის გადაწყვეტა – კომპეტენტური სასამართლოები

24.1 მხარეებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. თუ ხელშეკრულების პირობები არ შეესაბამება კანონმდებლობას, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კანონმდებლობას.

24.2 ლუკოილ-ჯორჯია და კონტრაქტორი მაქსიმალურად უნდა შეეცადონ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოებები მოაგვარონ მოლაპარაკების გზით და კეთილსინდისიერად.

24.3 თუ მხარეები ვერ აგვარებენ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მათ შორის წარმოქმნილ უთანხმოებებს, ასეთ შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

მხარეთა რეკვიზიტები :

დამკვეთი

კონტრაქტორი